

# მშენებრიზ პატრახი

იუმორისტ.  
ჟურნალი

№ 15

სააღდგომო სანაძლეო



ომი თუ ზავი!

# იუდა

ბატონების დღე და შეგინებული იესო ბნელ სა-  
კანში იჯდა.

ბრბო ჯერაც არ დაშლილიყო და გარედან  
ყრუთ მოისმოდა გაურკვეველი გუგუნნი.

უცბე გაიღო საკანის კარი და მტკიცე ნაბი-  
ჯით შემოვიდა იესოს მიმცემი ერთი ათორმეტთა-  
განი, იუდა, მიუახლოვდა იესოს და პირისპირ და-  
უჯდა.

ოდნავ ღია დატოვებულ კარის ქუქრუტანა-  
ში შემოსული მინათლის შუქი იესოს დაეწრულ  
შუბლს ეცემოდა, ფოლო იუდას ზურგში ხვდებო-  
და, მისი სახე არ მოსჩანდა.

ორივე სდუმდა: იესოც და იუდაც და ეს დუ-  
მილი კარგა ხანს გაგრძელდა. იესო თავი აღწერილი  
იჯდა, იუდა კი თვალს არ აშორებდა მას და ცდი-  
ლობდა შიგ თვალეში ჩაეხედნა.

ბოლოს იესომ აიღო თავი, შეხედა იუდას და  
თვალი თვალში გაუყარა, იუდა არ მოგერიდა მის  
გამოხედვას და წარბშეუხრელათ მისჩერებოდა.

— აქაც მოხვედრე — ჰკითხა იესომ.

— შენი ჩრდილი ვარ, მოძღვარო, — მოკლედ  
უბასუხა იუდამ.

იესომ გაიღიმა.

— შენი ჩრდილი ვარ, მოძღვარო, — უთხრა  
ხმა მალლა და აჩქარებით გაიმეორა იუდამ და სხა-  
ვა-სხუბით განავრძო:

— მე იქაც ვიყავ, პილატეს ეზოში... ყველა-  
ნი ვნახე, შენი მოწაფეები... თვალ-ყურს ვადევნებ-  
დი... როდესაც პილატემ ჰკითხა ხალხს. ვინ მოვი-  
ტევა თქვენ: იესო თუ ბარაბაო, შენი სახელი არა-  
ვის უხსენებია... არავის! ბეტრეც იქ იყო, იოანეც  
და სხვებიც. მაგრამ შენი სახელი არავის დაუძხ-  
ენია... შენ ყველი ხარ, მოძღვარო, შენა ხარ  
სურნელოვანი და მშვენიერი ყვაილი... მაგრამ მი-  
თხარი: სად უფრო ხარობს ყვაილი, სად უფრო  
ლაშხათ იშლება სუფთა მიწაზე თუ დამპალ ნეფ-  
ზე?... მე ნეხეი ვარ, მოძღვარო!..

— კბარა, ყადი! წყნარი ხმით, უბრძანა იესომ.

— ჯერ-არა! — მიუჯო იუდამ და გაჩუმდა.

კვლავ დუმილი ჩამოვარდა. სახლის გუგუნნი  
შესუსტდა და უფრო შორიდან ისმოდა.

იესომ თვალეები დახუჭა უძრავათ იჯდა.

— რათ დახუჭე თვალეები, მოძღვარო! — ჰკი-

თხა იუდამ: ჩუმი ცქერა გვიხსდება: განა?..

იესომ პასუხი არ გასცა, მაგრამ არც თვალთ  
გაახილა.

— შენთვისაც საზოზლარი ვარ, მოძღვარო? —  
ჩაილაპარაკა იუდამ და უცბე ზეზე წამოვიარდა  
გველნაკენივით იესოს რომ შესძლებოდა ახლა ამ  
სიბნელეში, გარჩევა, დაინახავდა, რომ ჩვეულებრივ  
უძრავი და აუსმობთებელი მისი გამომეტყველება  
ერთბაშათ შეიცვალა: ტუჩები ჩებუტკა, ქვევითა  
ყვა ციებთან კაცივით აუთოთოლდა და ნესტოები  
დაებერა. ერთ წუთს ასე იდგა ერთ ადგილას, მი-  
ქედილივით, იესოსავით თვალდახუჭული, ბოლოს  
ძაღლის მსგავსათ დაიბერტყა თავი და გაცხარებით  
ალაპარაკდა ნაწყვეტ-ნაწყვეტათ.

— არა, არა, იესო, მე ჯერ ვერ წავალ აქე-  
დან... შენ უნდა მომიხმინო... შენ ვალდებული  
ხარ, ყური დამვიგლო... განა მე არ ვიციდი, რომ  
ყველა შემძლებდა და შემზიზილებდა?... განა  
წინადაწინვე არ ვხედავდი, რომ ქვეყნისთვის თითო  
საჩვენებელი გავხდებოდი?... საშინელი და შემე-  
ძრწუნებელი შევიქნებოდი არა მარტო იმათთვის,  
ვინც ახლა ცხოვრობს ქვეყანაზე, არამედ მათი შეი-  
ლებისა და შევლის შევლებისათვის, სამარადისათ  
ვიდრე დაშიანის ხსენება იქნება ქვეყანაზე... ჩემი  
სახელი „იუდა“ დაჩრდილავს კაენის სახელს... რა  
კაენი, რომელმაც ღვიძლი ძმა მოკლა შუისს გამო  
იუდასთან შედარებით, იმ იუდასთან რომელმაც  
მაცხოვარი გაჰყადა, ღმერთი გასცა ღალატით? მე  
გვ ვიციდი, მოძღვარო და მინც არ შევდექე, არ  
შევკრთი, გავებეღე და ბოლომდე მივიყვანე საქმე...  
რას დავებებდი ქვეყნის მიერ შეზიზილებს, სამარა-  
დისათ შერცხვენას და სახელის გაწილებას, რო-  
დესაც მწამდა, რომ კაცთა ზიზილია და სიძულე-  
ლის სამაგიეროთ, მე მყოლია უღარესი ჯილდო —  
შენი სიყვარული მოძღვარო!.. მოძღვარო, ერთი  
სიტყვა, მხოლოდ მას რასაც ვერ მისწვდა კაცის  
გონება!

იესო ეხლა პირდაპირ უცქეროდა იუდას და  
გაკვირვებით უსმენდა მის ცხარესა და აჩქარებულ  
ლაპარაკს.

— მე ვთხოვნიის ბაღშიც ვიყავი... ბუჩქებ-  
ში ვიძალებოდა... მესმოდა მარტოობა შენი სუ-  
ლისა... შენმა საყვარელმა მოწაფეებმა ვერ შეი-  
ნეს იგი... სული შენი მწუხარე იყო ვარდენ სიკვლ-  
ღამდე, მაგრამ ჩემი სული კიდევ უფრო სწუხებ-



რადგან მე ვიზიარებდი შენს ურევასა და მშუბარებას, შენ კი არ იცოდი ჩემი მშუბარება... შენ ევედრებოდი შენს ზეციერ მამას, რათა მას თანაწარედო შენგან სასუმელი, რომლის შესმას იუდაც გშველოდა; მე კი წინ მედგა ბევრათ უფრო მწარე სასუმელი, რომელიც ნება ყოველობით ავავსე და მარტო უნდა შემეხსია... მოძღვარო, მითხარი, მითხარი ერთი სიტყვა, მხოლოდ ერთი-მესმის თქვენადაც შენ ვაიღო ისე ამაყად და ბედნიერათ, როგორც შეპყრობის ქრისტეს მიძევს, იუდა ისკარიოტელს...

იესო წამოაღდა გადაღდა ნაბიჯი იუდასაკენ და შიგ თვალეში ჩაატკბერდა გულდასმით, თითქო რადაც უცნაური და ახალი რამ შეაფხნია იუდას აღზნებულ თვალეშიაო და შეჩერდა.

— სთქვი, სთქვი, მოძღვარო!—გულის ფანტაზიით ევედრებოდა იუდა.

— წაიღო, იუდა!—წყნარათ უთხრა იესომ.

— არა, შენ არ გჯერა... ვერ წავალი!—უფრო გაცხარებით წამოიძახა იუდამ და განაგრძო:

მოძღვარო, შენ ხარ ძე ლეთისა, თვით ღმერთი, და ვერ ჰხედავ კი იუდას სიყვარულს, იუდას სიყვარულს ვერ ჰხედავ, მოძღვარო, და პეტრეს, იაკობისა და იოანეს სიყვარულს კი ჰხედავ. მერე, რა არის მათი სიყვარული წინაშე იუდას სიყვარულისა? იუდას ისე უყვარხარ, მოძღვარო, რომ ოცდაათ ვერცხლათ გაგყიდა შენ. იმათ ისე უყვართ თავისი მოძღვარი რომ სამჯერ დაიძინეს გეტსამონის ბაღში... დაიძინეს, თუმცა იცოდნენ, რომ იესოს ეამი დამდგარი იყო. სასიკვდილოთ გამზადებულმა მოძღვარმა სამჯერ სთხოვა მათ, ნუ დაიძინებთო, და მათ კი სამჯერვე დაიძინეს... აი, როგორ უყვართ მათ მოძღვარი!... იუდას ისე უყვარს თავისი მოძღვარი რომ, ეამზორა მას და ამით ამცნო მის დასაჭერათ მოხელეებს, ვინ უნდა შეგეყრათ!... იმათ თი ისე უყვართ, რომ კურდღლებით ვით გაიტყენენ, როცა მათი მოძღვარი შეიპყრეს... იუდას ისე უყვარს თავისი მოძღვარი, რომ არსად და არავისთან არ იმალებოდა: ყოველგან მალდა უჭირავს თავი და ამბობს: მე ვარ ის იუდა, იესო რომ გავყიდე ოცდაათ ვერცხლათ, შემძულეთ ყველამ და თითოეულმა თქვენგანმა ჩამაფრთხეთ პირში, ოლონდ ის კი, ჩემი მოძღვარი შეიყვარეთ და თავიანი ვცითო! პეტრეს კი, შენ საყვარელ მოწაფეს ისე უყვარხარ, მოძღვარო, რომ რცხვენია და ეშინია შენი სიყვარულის გამხელა და სამგზის უარ-

გყო შენი!.. მე ნებვი ვარ, უფლო! დამალო ნებვი, მაგრამ შენ კი უნდა, გიყვარდე, რადგან შენ, უბაღლო ყვავილი ჩემზე ვაშლე!

მითხარი მოძღვარო, ის სიტყვა და წავალი .

იესო უძრავათ იღდა იუდას პირდაპირ და იმავე ცნობის მოყვარებით და გაკვირებით უტკბოდა თვალეში, მაგრამ არაფერს კი არ ამბობდა.

უცბა გარეთ რამოდენიმე კაცის ფეხის ხმა და ლაპარაკი მოისმა, მოახლოვდა, მოვიდა კარებთან და კარები გაიღო.

— მითხარი, მოძღვარო!—უკანასკნელათ, სასოწარკვეთილებით დაიკვნესა იუდამ და გაშეშდა იესოს პასუხის მოლოდინში. იესო მას აღარ უყურებდა, და იუდამ, რომელიც ყოველთვის კითხულობდა მის თვალეში აზრისა და გულისთქმის, ახლა ველარაფერი ამოიკითხა.

— ვაიმე!—წამოიძახა იუდამ და კარებისაკენ წვიდა. საკანში შეიარაღებული მხედრები შემოვიდნენ და წინ გადაეკლობენ იუდას.

— შენა ხარ იესო ნაზარეველი?— ერთხმით ჰკითხეს მას რამოდენიმე ხმამ.

— არა! მე იუდა ისკარიოტელი ვარ, იესოს გამძემოქმედი... იესო ნაზარეველი აი იქა სდგას, ანაშნა იუდამ და წასვლა დააპირა.

მხედრებს იუდას შეპყრობაც უნდოდათ, მაგრამ, როცა კარგათ შეხედეს მას, ხმა ამოუღებლივ გაიწვიამოიწვიენ და გზა მისცეს...

იუდამ რამდენიმე ნაბიჯი გადასდგა, შეჩერდა და მოტრიალდა, როდესაც იესო გამოიყვანეს, იუდა წინ დაუხუვდა მას, გააჩერა და ხმა მალა გაღიხარხარა.

მერე მოწყვეტით იბრუნა, პირი და საჩქაროთ წავიდა.

მეორე დღით, გათენებისას, იუდამ თავი ჩამოიხრჩო.

ნაბუ.



## „წითელი კვერცხები“.

ბათუმში დაპარაგა  
ქალაქის თავი, და  
(ის, როგორც ამბობენ  
სპარსეთში წვიდა!)  
დაგვიჩა უიშოთ  
ეგ ცენტრი ზღვის პირის...  
წავიდა თავადი  
და თვალის მისტირის.  
საგზოდ მის უმზითვეს,  
მოზრდილი „პენცია“,  
რამეთუ ის „თავი“  
„წითელი კვერცხია“.

—  
ჩვენ ბანკი გაუხსენით  
პატარა დაზაში...  
(ქუეში არ გეგონოთ,  
ტყაირი და ბაში).  
ამბობდენ: „ფულს მივცე“თ  
გლოეს, სოფლის მუშასო...  
ჩარჩ ვ.ქრებს, ისედაც  
არაა უშავსო,  
დღეს ჩარჩებს ეძევეა  
ბანკიდან სესხია,  
რამეთუ თვით ჩარჩი  
„წითელი კვერცხია“!


—  
ესთქვათ რომა, ეშმაკი  
მოძღვართა მტერია...  
მაგრამ ერთ მღვდელთ-მთავარს  
ეს დაუწერიო:  
„მე თანხას გოგზანით  
და თან გთხოვთ მწარეთო,  
ქართლ-კახელ აზნაურთ  
ის მოახმარეთო“.

(მე გლეხის კანტორაშია  
ის, ვაქრის შვილია!.)  
მე სუსტი, იგი კი  
კვერცხით, რით ნაკვები,  
ჯან-ლონით აღსავსე  
ვაჯკაცად საქები.  
მე თითონ მიმიღეს,  
მისგან კი ვერცხლია ..  
მღიღარი ვაქარიც  
„წითელი კვერცხია“.

—  
მსახური სპიროდათ  
ერთ კანტორაშია...  
ბეჯითი...  
ერთგული...  
ნაცადი თვლაშია.  
ითხოვა დათიკომ  
ლეომ და გუცამა.  
(მას წიგნიც აახლა  
„ნიაენა ნუცამა!)  
მიიღეს გიგუცი  
უნეკო... ბეცია,  
რადგანაც კნიაენა  
„წითელი კვერცხია“.

—  
გამვირდა კვერცხები  
ქათამთა ნადები,  
წერილ-წერილი, მომრგვალო,  
თეთრი და საღები.  
სანაცვლოდ გამრავლდენ  
„წითელი კვერცხები“,  
რომელთაც მე გვზომ  
მოკრძალვით ვეხები.

ეშმაკი.



—  
მიველით ჩვენ ორნი:  
დათო და ილია...



# ახალი სიტყვა.

მე ბედნიერათ ვგრძნობ ჩემს თავს, რომ ბრწყინვალე დღესასწაულთან ერთად საშვებელია მომეცა მივულოცო ჩვენს მკითხველებს „ახალი სიტყვა“, ახალი პირველთქმა ახალი აზრები, ახალი რწმენა.

შემთხვევას ვუმაღლი მე და საჭიროა თქვენც დაუმაღლოთ, თორემ შეუმჩნეველი გამოშვებარებოდა ბნ კ. ფოცხვერაშვილის მრავალ მხრივ საყურადღებო და ღირს შესანიშნავ „სიტყვა მუსიკობა“. მე გადმოგცემთ თქვენ დაახლოვებით იმ „ახალ სიტყვას“, რომელიც მოვისმინე და ვისაცაქვედენ ყურნი სმენად ისმინენ. და იყოს თქვენზე უფროსზეა ქაოსისა.

ეს ქაოსი კი წინეთ არ არსებობდა. წინეთ იმ დროს, სადაც დღეს ქაოსია, ტახტი იდგა და ზედტახთათვიანი ღმერთი იჯდა. იჯდა არხინათ, გადსტყეროდა რიონის ქალებს და ჩიბუხს ეწყოდა. მაგრამ ერთი დრო ვის შერჩენია. ას თავიან ღმერთის ჩამოციდება, ძილში რაღაც ახირებული სიზმარი ნახა, შეშფოთდა და ტახტიდან ჰაერში ბრავგვანი მოაღინა.

მანვე ეშმაკსაც სწორეთ ეს უნდოდა. იგი დროს ელოდა, რომ ცხრა თავიანი მბრძანებელი როგორმე მოეშორებია და რაკი ტახტიდან გადმოვდებულნი და ისიც მძინარე ნახა, ეჭვგარე, დასტაცა ქეროზი ხელი, ამოიღო ქვეშ, ჯერ კარგა გაატატაშეკომოვით, მერმე გამოაცხო, მტვრად აქცია, შეუბერა სული ღმრთობისა მთელს სამყაროს. ასე ვაჩნდა ქვეყნათ ქაოსი. (მხურფაჟე ანოლოდისმენტა)

ამგვარათ ცხრა თავიანი ღმერთი მიეცა სატახტველს, ხოლო ღმერთი კი სიხარულს. ვაქაოსენაშვალ ღვთაებას კვლავ მოესტრვა ნამცეცების შეერთება, ისევ მრავალსახიანად გახდომა, ტახტზე ასვლა და ამგვარად არქიელის გორაზე წამოკუჭება. ამ კანონიერ სურვილს შეერთებისას წინ ეღობებოდა ეშმაკი და ამაში იყო ტანჯვა ღვთაებრივი ქაოსისა. (მხურფაჟე ტაში)

მიუხედავათ ამ წინააღმდეგობისა, ღვთაებრივი ქაოსმა მიიწვ მოასწრო ნაქერ-ნაქერ შეერთება და ამგვარათ წარმოიშვა ჩვენი დედა-მიწა. რადგანაც დედა-მიწის უბატრონოთ დატოვება არ შეიძლებოდა, დაჰკრა ჯოხი და გააჩინა ორი ცხოველი, რომლებსაც აღამიანი ეწოდება. ერთი ამათგანი გამოდგა ქალი (ევა) ხოლო მეორე ვაჟი

(ანთიმოზ). თანახმად ღვთაებრივ ქაოსის ნაწილთა მიღრეკილებისა, ახალ განჩილ ცხოველთა შორისაც დაიბადა ლტოლვა შეერთებისადმი, რომელსაც ეწოდების სიყვარული. (დაუსრულებული ტაში).

ეშმაკს აქაც შეშურდა გულთაებრივება ორი ნამცეცისა ღმრთა ქალ-ღმერთი შეერთდენ, დაჰკრა ლახვარი და მყის განაშორა ისინი. აქედან დაიწყო, აღამიანთა წარმოშობა და „რახვოდები“ (მქუსარე ტაში)

მაღე ამის შემდგომ ხალხმა დაიწყო გალობა. გალობდა და მღეროდა ყველა ერი, მაგრამ ყველაზე მეტად გამოეჩნა ქართველი ერი. მან შეტქმნა მეთვე სიმფონია, რადგან მეცხრე უკვე დაეწერა ვილაც უცხო ტომის კაცს. დღემდე ქართველ მუსიკას არაფერ ელტვოდა. დღეს კი მე ჩავსწვდი იმის სიღრმეს. დღეს მე უნდა ვსთქვა რაიმე ახალი, უშაღლესი, და ვი არს მისდა, რომელსაც აქედნეს ყურნი სმენად და არა ისმინოს.

მაშ ეხლა ქაოსისაკენ! ვაი არს ჩვენდა, რამეთუ არა ვებდავდეთ მას უხილავსა! ვაი არს ჩვენდა, რამეთუ არა გვეხელმწიფების მიწოდმა მისი რაოდენი არს ცათა შინა ზე, ქვეყნასა ზედა ქვე წყალთა შინა და ქვეშეში ქვეყნისა. ვაი არს ჩვენდა, რომელთა ვერა ვიხილოთ შეერთება ქუცბაცებისა და ძალთა ქაოსისათა. ევა, ევა, ევა! მზე დიდებისა აღმობრწყინდა და ესტან მე ღმერთი ჩემი და მოვიწოდებთ თქვენცა ქაოსისაკენ! (ხანგრძლივი ტაში)

ლექცია მქუსარე ტაშით და დიდებული ოვაციით დაგვირგვინდა. მაღლიერ საზოგადოებაზე ლექციაჲ ქაოსის შესახებ შესაფერი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქმის ყველანი თავქაოსიანი და მზიარტონი დაიშოლენ.

ჩვენ ბოდიშს ვიხდით მკითხველის წინაშე ვრცელი თქმულების ესდენ შემოკლებისათვის, მაგრამ ხაზს ვუსვამთ, რომ, „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის და შაირია ამაღ კარგი“.

ვულოცავ ჩვენს მკითხველებს თანახმად ახალი სიტყვისა:

- ქაოს დაღდა!
- ქეშპირით დაღდა!

მორიელი

# სააღდგომო.

ვით ბედნიერ „ჩინოვნიკსა“  
ახალისებს თვისა ოცი,  
(თუ თვინიერ ჯამაგირის  
სხვაც ბევრი აქვს ასაკოცი.)  
ესდენ მტანჯავს, მე უბედურს,  
ეგ მილოცვა სააღდგომო...  
სიტყვა უნდა დაითვალო,  
აზრი უნდა გამოზომო.  
ალარტ ვიცი ვის რა ვუთხრა,  
ვის ვაიმო, ვის ვაწყინო...  
ვინ მწარ ფიქრებს ვავატანო,  
და ვინ გულით მოვაღიზინო.

პირველ ყოვლის, ბატონ კოტე  
ფოცხვერაშვილს უნდა ვკადრო:  
—არ შეგფერის ბეოხოვენსა  
ეგ ზომ თავი გაუყადრო!!  
მუსიკოსი იყო... მავრამ...  
ვითომ რა ჰქნა ამის ფსის?  
ჩვენს მივარდნილ სოფლებშიაც  
მისთანები გვყავს ათასი.

„ყანწისტებსა“ და „ყანწისტებს“  
ციხფერს,  
მწვანეს,  
ყვითელს,  
ლურჯებს  
შშობლიური „ფურტურიზმის“  
სახელოვან ქართველ ბურჯებს,  
დღუენ მახათს მივეულოცავ,  
გამონაწართობს „ბინძურ მზისა“,  
რომ მოკლილ დროს ივარჯიშონ  
მათ, თანახვად ანდაზისა.

ორი სიტყვა რო არ ვუთხრა  
ბათუმის მხრის იჯარადრებს,  
იწყენენ. და მათგან ვინმე  
საყვედურსაც შემომკადრებს.  
—მე თქვენს ბადალს ვერა ვებდავ  
ჯოჯოხეთის ბჭეთა მცველად...  
შეშ გილოცავ ქართველ მუშებს  
საყვედრეთ და საძარცველად.

ქეშმარიტად მიელოცვის  
ქალაქ თოთის შანააიხისკებს.

არადგან მათებრ ბედნიერი  
სხვა ჩვენში ფებს არ აზრებს.  
მათ ხელშია სახვე ქისა  
ფოთელ ვაჭარ-ბურჯუების,  
რათა სრული იმედი აქეთ  
პოლიციელთ უქკუობის.

ჯერ პირის პირი ვერსად ვნახე,  
თუშეც ვეძიებ რახანია  
სამტრედიის „ფურთხიანე“  
ჩვენი ბესო ფარცვანია.  
მივარამ ამ დღე კეთილებზე  
რო არ დამრჩეს გულნაკლულად,  
პეტრეს ქოშებს და კალოშებს  
მივიართმევ, თუნდ მოხრაკულად.

# სიკვდილის ნაამბობი.

პატრონაში რო ჩავძვერი  
არავის არ შეუტყვიო...  
ზედ წამალი დამაყარეს,  
და დამხურეს თავზედ ტყვიო.  
გამოაღეს თოფის ლულა  
და ჩამკეტეს ვიწრო ხერგელში,  
არ იფიქროთ, თავი მეგრძნოს  
შავდღესა და განსაცდელში.  
ვიჯექი და ვოცნებობდი  
ბნელაში, ხმა ვაკმედილო;  
— ნეტავი თუ სად წამიღებს  
ტყვიო ეგ სულ წაწყმედილი  
დამკრეს თავში რკინის ნემსი,  
მყის დაჰკვესა ნაპერწკალიშა...  
გულში მტრობა ამიდულდა  
და იფეთქა ცეცხლის ალმა.  
შურის გრძნობით ანანთებო  
მოვსწყვლით ლულას ღრიანცელით  
და გაფრინდით ფრთავაშლილი,  
სასიკვდილო შავი ცელით.  
და ბრავ ხელმა განგებისამ  
ჩვენ იმ გულთან შეგვავერთა,  
სადაც, თოფქვეშ, აღდგომაზე  
ოცნებობდა დედის ერთა.

—კი.

\*) „ფურთხიანე“ რუსეთის ცნობილი აღგოკატი „И.И. БАРКО“-ა.



# გურული სცენა

(საადღგომო სსკუთარი სმპაეი)

გი დედასა, რა საქონელია სწავლა! ტყულა-  
თი ინი რომ მკოდნოდა ჭორობში რომ ვიყავი,  
ხელათ ვიგდებდი ტამელჩოკობას, ან დესიატნიკო-  
ბას ხელში და დღეს ღოსპოდინ ბაღატი ბურეყო  
ვიქნებოდი. აბა რა დიდი საქმე უნდოდა პალუჩკა-  
ზე ჩამუყუკალეზბდი მკედრის და ცოცხალ მგზო-  
ბლებსის სახედლებს და კაპეიკსავით შუუქანებლი  
კულს, მარა რაღაი? რაცხა ორი გროში ვიშონე—  
ამას, იმას, და დამშა ხელიდან და ამ საადღგომოთ  
შიინც დაფრი ყობოსავით, რას ფიქრობ, საადღ-  
გომოთ რომ შიშეელი დავტყო, გავიჩენ ნაფირს  
ნაბურავშიო,—დამიცეცხურა ქალმა, შემაქცია პი-  
რი და მიჩვენა ზრუგე—ჰეი ძმავ, ან სიკვტილი,  
ან სიკოცხლე მეთქი, და მოვში ტისიკენ, წუურა-  
კუნე თავი, უმგარუნე და უმგარუნე, ვებრებ და  
ვებრებ, ვთრაქე და ვთრაქე, დავძებე მურვანძის  
გებენი შაღლებით და ვკარი თავი პალიასტომში.  
აი იქით, აი აქით და ზე ამოვყვევი თავი ღოროდ  
ფოთში. დედავ, გამიხარდა რომ მშვიდობით განხეო  
მომამურა აქით გიორგიმ, იქით სოლომონმა: მა-  
დადგეო და დამითათუნეს ზრუგზე ხელი. ჩემს უმ-  
ღრო შაღლების მშვიდობა გავიხარდენ, გული თვეენ  
და ქერქს ჩვენ გვაძლევ მეთქი, გავიფიქრე გულიში,  
მარა ვაქრული ანგარიშია და მეც ვუჩვენე თეთრი  
კბილები. აქეთური, იქითური და ჩემი ბატონი შენ  
ბარ და ერთ თეთრ კულიან ასიანს თავი ვატყვიე  
ჯიბში. შხანკოლავ, დევიკარგეთ კაცი, ჩვენი ბინა  
სალორეს ვავს, ჩვენდა არ არის ვაზეთი, არაა აბა-  
ნო, არაა მუშების მიღებ ვაშობა ნაუდღროს მავიერ  
ქიშვარდია კეკელიძემ დამარცხებულ მუშას დაენ-  
თო რჯლით და იმდენი აგინა, რომ ჰაერი ააყრო-  
ლა—მარა ჩვენდა პატრონი არაა. მოგვეხმარე ეშმა-  
კის წყალობა მათარბი ამ საადღგომოთო მომასხნა  
მუშების დეპუტაციამ. ავიკლო ზოგიერთმა უპრა-  
ვის ღუმის წვერებმა, გეიშავეს პირი, დესისეს თავზე  
ლაფი, რას სჩადიან არ იციან, კოპერატის აგერ  
ხეაილღეტენ ისთეველე სახლს და ფურნეს, მოგვა-  
შველენ ეშმაკის წყალობა მათარბი ამ საადღგომო-  
თო, მომასხნა ქალაქის დეპუტაციამ, მარა დიხბაც  
ვერა! თქვენ თავს თვითონ ეპატრონეთ, თვარა  
თქვენდა არც ეშმაკს სცალია ამ ვინზე და არც

ღმერთს მეთქი და დავაყარე შინსიკენ გზას ბარაქა.  
მივალ და ვფიქრობ: ქვეყნის ოჯახი კი იწგრევა,  
მარა კარგათ წვეიდა ჩემს საქმე, ბაღენეს გამოვპე-  
პლავ და ჩემს ხანუშას რას უზამ არ იკითხავთ.  
უყიდი, მარა რაფერ პოლსაპოშკს ხომ არ იციოთ,  
ქუსლი ანტე ქრისტეს უგავდეს, ღუნჩი ღლანს და  
ცხვირი ბრესლაუსავით ქონდეს აბზეკილი. კობას  
შეუყერავ, მარა რაფერ! ტყულიათ ფეხებს ვერ  
აბიჯებდეს. თავზე დივანზურავ, მარა რაფერს? თუ  
იცი ერთი გორიკი ბურდლა და ბაღლები ეზნოს  
ახლა წავცხებ წამოვცხებ მივაშხურებ მუვაშხურებ,  
ერთი სიტყვით ისე გამოვპრანჯავ რომ ალი და კვა-  
ლი ბულვარდის ქალებს რომ წინ დუუყენო ვერ  
გამევიცნა. აბა სტოლის ნულარ იკითხავ. იმისანას  
მოვკახმავ რომ ხვოსტოვსაც არ დუურჩეს ჩემისანაი  
და გადავყრი დუშანებს ბღღვისრ თავზე. ამ ფიქ-  
რებში შეღეკე მუადინე ქიშკარი. ნენა, ბაბაი ბაი  
მოსულა ჩემი სულიკელა ვირაკელია, შემოვფეთილა  
ქალი და ბაღანაი; მეც მუუსვი ყველას თავზე ხე-  
ლი, პაწი წვეიხვდეს და გავსწიე ღანჩხუთისკენ სა-  
ვაქროთ, ვირბინე და ვიგლიჯინე ამ დუქანში, იმ  
დუქანში, აბა გვარჯალამე, აბა ებრალიძე, სიხარუ-  
ლიძე, იმანძე, მარა ყოლგან ყოლიფერს ვასჩენია  
ნაფირი, მათ ნადუქარზე დამესოს რჯლია ხაზიზა  
რალას ვიხამდი ჩემი ასი ტლიკვის ნავაქრი მოვკარი  
ერთ პლატუკაში და გამოვბრუნდი შინსიკენ. ოსმა-  
ლეთისავით დაღვრესილი და საბერძნეთ რუმინია-  
სავით დაფიქრებული. ვაი, ამ მოსწრებას, გეიარა  
წყალში ჩემი ნაფიქრები, ჩემი ბატონი შენ ხარ და  
ახლა ყველაყაი მიხვდები, ჩემსას აღდგომა გათენდ-  
ბოდა თუ შავის ყველიერი და ვინც არ დამიჯერებ  
შენსას ამ ვაის ამისანაი.

შხანკოლა.



## სანოვაგეთა ქება.

გოჭმა სიქვა, მე ვარ პირველი  
 ამა აღდგომის კვირესო  
 წინეთ გემუსრავდენ უღმერთოდ  
 დიდსა, საშვალოს, მცირესო,  
 ვენაცვალე ომის მომგონს  
 ამ დროთა სიღუბეკირესო  
 დღეს სეტი ფასი დამედო,  
 ყველგან ვერ დამაქვირესო.

გამოეძახა ბატკანი:  
 ღრუტუნავ რას იკვებო,  
 მაგ მურტალ დინგის კორტობზე  
 კი დაგაყარე მესო.  
 ურცხვად ივიწყებ სიმართლეს  
 ერთხელ თუ გამომცნო,  
 მაკვირვებს ჩემსა წინაშე  
 როგორ წამოდგი ფეხო.

აქ ინდაურმა დასკვნა  
 რომ მოხსენება სჭირია,  
 გაშალა ბოლო აფრები,

დაბლა დაუშო ცხვირია,  
 და სიქვა:—მაკვირვებს ჭეშმარიტ  
 მე თქვენი ანახირია,  
 დღეს ჩემი მოძმე, ხომ იცი  
 ხუთმეტ მანეთზე ძვირია?

ქათამმა დაიკრიახა:  
 აბა რასა გავს ვგო,  
 თქვენ დიდკაცები გეტრფიან,  
 მე კი უბრალო, ლეგო,  
 თითო კვერცხს თითო აბაზათ  
 გააციდი ხვალ თუ ზეგო;  
 თქვენ არას გარგებთ ამ ქამად  
 ნამსახურების ქეჭოა.

აქ ქართოფილმაც იკადრა  
 სიტყვისა შემობრუნება:  
 —ვერ ხედავთ, პატივცემულნო,  
 როგორ იცვლება ბუნება?  
 ჩემდა სიძებრად ათასი  
 ვაგონი, ეზრაგუნება  
 (უყვარდეს მოიჯარადრეს  
 განქარით ხელის თბუნება!)





სიძვირე რა ბიჭობაა,  
თქვენ სხვა შითხარით ახალი,  
თვალ ანამღვრვევი სისხლისგან  
განზე იძახის **ჭარხალი**  
რაზე ტრამახობთ არ ვიცი,  
მომწყინდა თქვენი ყანყალი,  
მე დილკაცებიც შეძებენ,  
არა თუ ბაზრის ბაყალი.

გამოჩნდა ალა **კომბოსტო**  
(ისიც ხომ უცხო ხილია!)  
დილკაცურ ღინჯად ახეცდებს  
**სტაფილო** მოღრეცილია  
არხენიათ ზის **ნიორი**

ფეხი-ფეხ გადაუდილია,  
**ხახვი ბოლოკთან** ბაასობს  
კილო ხმა გამოცვლილია.

**პასკა** ისე ღვას, წარბ შეკვრით  
ვით ციხე მიუღვამელი,  
მედიღურება ეტყობა,  
**შაქარსაც** განუზომელი,  
**ღვინიან** ბოთლსა სიურცხვე  
სწევვია დაუცხრომელი  
სულ ავარებთან **კულლუტობს**  
არ ახსოვს ხალხი **შშრომელი**.

ლობიო.



ო.ი.შლინგ

საადღვომო მისალოცი, ქალაქის მამებს.

# მ მ რ ა ლ ა

## I.

პირველი ოპერაციით  
დოსტაქარმა მოსტრა ძვლი  
და შეუქმნა განუკურნავს  
მაცდური და ტურფა ქალი.  
ეს დიდი ხნის ამბავია  
და ამბავი ლეგენდური,  
ჩვენ არც იგი კაცი გვინდა  
და არც ქალი ლეგენდური.  
არამედ ის მოგრძო ძვლი...  
დოსტაქარის მონაცვეთი.  
(პირველი და ბოლო ასო  
არ გვჭირია არცა ერთი)

— რაა ყოვლის უტკბო-მწარე?  
მეფემ ჰკითხა მემკვიდრესა,  
ჯა კითხვაზე მოხდენილმა  
მუნ პასუხმა დაიკვესა.  
მინდა დღესაც მონახოს  
ის ორგანო მკირე, რბილი  
ქვეყნად ყოვლის უმწარესი,  
თან სიტკბოზე უფრო ტკბილი.  
მხოლოდ მისი ბოლო ასო  
შევაბრუნოთ თავდაყირა  
(როგორც ხედავთ დრო და ხარჯი  
ამან ცოტა შეიწირა!)

და აი, თქვენს თვალთა წინა  
დაიხატა შვიდი ასო,  
რაც თვალსა და ყურში ხედება  
დღეს მთელ მკითხველ ქვეყანასო.  
პაწაწინა ქალაქია  
მთის კალთებზე განაშენი  
სიტურღით და სილამაზით  
ავით ბუნების დამამშვენი.  
დღეს კი ცეცხლში გაბეველა  
მისი ქუჩა, მისი მთები  
აღდგომის კვერცხს მოგვაგონებს  
სისხლში წითლად შენადები.

კოლო

უკროსი თითის სახელსა  
როს ჩვენ დავსწერათ მთელადა  
მისი მესამე ანბანი გვექნება  
გვექნება წასაშლელადა.

მერმე კი გემი მოვინახოთ  
პატარა ჰქონდეს ტანია,  
უჯავნო იყოს არ ედგას  
ზედ მძიმე ზარბაზანია.

არ იყოს სწრაფი მავალი  
ზანტად სცურავდეს ზღვაშია,  
არ ჰყავდეს ტოლი, ნალმების —  
დაქერა შენახვაშია.

იმის სახელზე უშიშრად  
მივიღეთ იერიშითა  
შემოუაროთ ზურგიდან  
(მხედრული ანგარიშითა)

ვეკვთოთ, სამი შეგმურათ,  
კვალი გავაქროთ მათია  
ოთხი კი პირველს მივაკრათ  
სალი და სალამათია...

განსაკუთრებულ წრისათვის  
იგი საბჭოთა ერთგვარი  
წრის ყველა წევრის სურვილით  
ამორჩეული შემდგარი.

საქირბოროტო საკითხებს,  
საქმეებს საზოგადოსა  
ის არკვევს თითოეულად  
აძლევს ტონს სათანადოსა.

მით ძლიერია იგი თვის  
გავლენის გამომსახველად,  
თუ „ცენტრალურიც“ აგრეთვე  
მას ეწოდება სახელად.

საჩქაროთ მასაც ვემგვროთ  
ნუ დავაყოვნებთ წამია  
და ჩავამტვრიოთ წინილგან  
კბილები ბარე სამია.

ხუთი დარჩება უნებმად  
შევიპყრათ იგი ხუთია  
მით მოთავდება შარადაც  
არ უნდა ვარაუდია.

მივიღებთ სიტყვას, რომელიც  
მრავალსა დიპლომატებსა  
ზოგას უქარებებს ქირავარამს  
და ზოგს კი უფრო ჰმატებსა.



მის დარღვევისთვის, დაცვისთვის,  
ბევრი მოელის „ნაობასა“  
და გულის ძვერა-ფანცქალით  
შესტკერის აწყყოს, მყობადსა.  
ჩვენი სოფლების ზოგიერთს  
„ინტელიგენტურ ძალებსა“  
(მუდამ უფროსის წინაშე  
ქედ მოხრილ მაჩანჩალებსა,  
თუ სადმე საქმე სახალხო  
ექნება განზრახულია  
იმისი დაცვა ერთგულად  
მიწნათ აქვთ დასახულია.

კვახი

### რა მაცინებს?

(მაბაძე „რა მისმევს ღვინოს“-ა)

დიდი და ბატარა ჩამციბია:

„კაცო, რა ეშმაკი და ქაჯი გიღიტინებს, რომ  
მაგრე გაღინახარებ ხოლმე ხან და ხანა. გიჯი ხომ  
არა ხარ, რომ შუა ქუჩაში შერტადები, მუხლებზე  
ხელებს ირტყამ და ხარხარებ?“

მმ! რა მაცინებს?

შენ ისა სთქვი, რა არ მაცინებს, თორემ სისა-  
ცილო ზევრია ჩვენ ცხოვრებაში.

რა მაცინებს?

რა და შენი „ზრასტი“, „დასვიდანიე“, „პო-  
ლოლუქსა“, „ავინავატ“, „შტოტიკოი“ და შენი  
ღედა ენის დავიწყება მაცინებს! რა უნდა მაცინებ-  
დეს.

რად ვიცინი?

რად და იმიტომ, რომ თვალ-წინ მიდგას  
„ცისფერ-ყანწისტების“ აღმანახი თვისი ნახევრად  
ცარიელი ფურცლებით, რომელნიც სწორეთ კრი-  
ტიკოსის შხაშიანი კალმისათვის არიან დატოვებულ-  
ნი.

რა მაცინებს?

რა და ინდაური! უბრალო, ორფეხი ინდაური,  
რომელიც აღდგომის წინეთ თვრამეტ მანეთად და-  
მიფასეს ბაზარში მოდი და ნუ გაიცინებ, ჩემო კე-  
თილო.

რა მაცინებს?

რა და ყველაფერის სიძვირე, აღმინანის სიკო-

ცხლის გარდა! ყველაფერი ძვირდება, ძმაო-ჯან,  
და კაცის სიკოცხლე კი იაფდება: ბრძოლის ველზე  
უზანთულიანი ტყვიის გასაცემებლად-ლა ფასდება.

რა მაცინებს?

რა და საათობით ყურყუტი ტრამვაიში ადგო-  
ლის შოვნისათვის „ზემელის“ აფთაქთან, მიხეი-  
ლის პროსპექტზე, ერევნის მოედანზე და მუხრანის  
ხიდან. როდესაც ხუთი საათი გაივლის თავისუ-  
ფალი ადგილის ძებნაში და შემდეგ იძულებული  
ვარ ფეხითვე გაუდგე გზას, მაშინ ისეთი სიძლიე-  
რით და სიმწრით ვადვინახარებ ხოლმე, რომ  
ეტლში შემგზული ცხენები ფრთხებიან და მალაყს  
გადადიან.

რა მაცინებს?

რა და შუბლზე კობი, კეფაზე კობი, საფეო-  
ქელზე ბუშტები, ჩამტვრეული წიბოები, ნაღრძო-  
ბი ფეხი და მოტებილი ხელი, ღამე ქალაქის განა-  
პირა ქუჩებში სიარულის დროს შეძენილნი, ქუჩე-  
ბის მეტის-მეტე განათებით და ქვეთ მოკარწყლით.

რა მაცინებს?

რა და ქალაქის ონკანიდან გამომდინარე გათ-  
ვეფილი ტალახი, რომელსაც ჩქარ-ჩქარა მივირთმევ  
წყლის მავივრად და თან ვფიქრობ, თუ რომელი  
ავადმყოფობა შეგვეყრება ხვალ: შავი კირი. ხორ-  
ველი თუ სახადი! ძმაო-ჯან, მოდი და კბილებს  
ღრაპუნით ნუ ჩაიცინებ!

გუგუღი.



ფ ( ო ) ო ო .

(საადგილო მდიდრეები)

უპრავას.

რომ, ეშმაკი ღღესასწაულს  
მზიარულათ მიგაგებოს,  
თქვენი მოქმედების სას  
მისვე უღღენ „სანაქებოს“.

მოგალოცავთ ტყის გ:ჩებს,  
როცა შეშა, ძვირათ ღირდეს,  
ქალაქს ფიჩიცი აღარ დაჩჩეს  
თუმც სიცვე გაუჭირდეს.

ის კი, სხვებმა დაირიგოს  
რაც კი დაგრჩათ ვაუჩები,  
თუ ვინმემ სთქვას „ჩემიოა“  
მოუწყრეთ თქვენ, ხელ-ფეხი.

ქალაქს ვალში ატურავეთ,  
სალაროშიც არ გაქვთ გროში,  
დანძარების მაგიერათ  
ხალხი ბეგრეთ ამ შვე დროში.

ტლაბიან ზნელ ქუჩების,  
გაშრობა და განათება  
გრძელი ვადით გადადევით,  
სანამ იყოს თქვენი ნება.

მართლა ფული რომ მოკრიფეთ,  
**(ანთიმოზ და ერისტიმა)**

ან სინათლე და ან ფული,  
დაგვიბრუნეთ აწი ჯიბი.

საიჯარო საქმეს რომ სცემთ,  
ნუ უყურებთ „ნათელ მირონს“  
თუნდაც საპატრო პირთა,  
მოციქულმაც მოუბნიროს.

რომლის ერთი მავალითი,  
ეხლანდელი ტრამვაია  
შარშან ოთხათ „ძვირი იყო“  
წილს კი რვათაც „ვავაია“?

ტიძრის წინ რომ ფაცხა დადგით,  
ხათრი არის თუ კანონი?  
იჯარა და ჯიბალობა  
არ ივარგებს ერთად მგონი.

შავი რაზმის არტელს ადგენთ,  
წინააღმდეგ მუშებისა,  
თქვენ აშენებთ, მარა იგი  
მისით დაიფუშებია.

აფთიაქის საქონლები,  
აწორით, რომ ჩიბარეთ,  
შეფასების კომისია  
რატომ აღარ დაიბარეთ?

ნუ თუ ძველი საქონელი  
მართლა ერთი ხნად ღირდეს,  
და ახალი შეფასება,  
გერზეესკიმც არ ვაგვიბრდეს.

რადგან უჯობს ფას ლტქმელათ,  
**ასი ერთად** ჩიბაროს,  
რომ „ბოძალი“ აფთიაქის,  
უფრო მალე მოაგვაროს.

კუნძულზე, რომ დააფუშა,  
უსაჭიროესი ხილი,  
ზედ მიმოსვლა აღარ ხდება,  
სირცხვილია თქვეგნთვის ღილი.

რა უყავით დაპირებას,  
არჩევის ღროს თქვენი ფიცის,  
თუ არ ახდენთ, რას აკეთებთ,  
ემშავამც რომ აღარ იცის?

მარა როგორც ნათქვამია,  
„სად როგორი ერთია,  
ისეთივე წირვა-ლოცვა,  
ისეთივე ბერიაო“.

„უტუ“ ამბობს ვე ვარჩიე ამისანა მამებო,  
მარა ეხლა უნდა შევქმნა, მათთვის ცული წამებო

**არტელის მუშებს:**

ავანგარდათ ითვლებოდი,  
ასრულგბდით წმინდა ვალსა,  
მარა დღეს კი, უძღვევინართ,  
საზოგადო ცოლდის ბრალსა.

**ქერძო სამუშაოს მუშებს:**

მუღამ რყევას განიცდიდით,  
უჯგუფით და უკავშიროთ,  
უსაყდროთ და უხუცესით,  
თქვენ გაცხონოს რაც თქვენ სწიროთ.

**მარგანეცის მუშებს:**

გაზაფხულდა, გაიღვიძეთ,  
გეყთ ამოდენი ძილი,  
ვინც არაფერს არ გიკეთებს,  
რატომ მიიქვს ორი წილი?

**ვაგზლის მუშებს:**

სანამ ვინდათ, რომ გაუძლოთ,  
დღე და ღამე ზღაპრულ შრომას,  
ხელფასს კიდევ მიჩიმაღურს,  
მოხელეთა ლანძღვა წყრომას?



## ხე-ტყის ქარხნის მუშებს:

ყველაფერი შეიცვალა,  
მხოლოდ თქვენ ხართ ძველებურათ,  
ხომ გაქვთ თვალთა მხედველობა,  
მსმენელობა კიდევ ყურათ?.

## სათევზოს მუშებს:

აქ სხვებს კიდევ თქვენ სჯობიხარო,  
ხშირათ მოგდით ბრძოლის მადა,  
ერთ შეტევამ ორი „ფორტი“<sup>1)</sup>,  
ორ ნახევრად გაგინადა.

## ვაზეთების კიოსკს:

გვითხარ ჩვენი რა ბრალია,  
სამტრედია თუ გვყავს ჯინში,  
მკითხველები, რომ დავხოცოთ  
ვაზეთების მილოლინში.

## სამკითხველოს.

მუდამ დაკეტილი რომ ხარ,  
როდის უნდა იყო ლიან,  
გყავს თუ არა მეთვალყურე,  
აგიც ველარ გავივია.

## წ. კ. გამ. საზოგადოებას.

რას აკეთებთ ჩვენ არ ვიცით,  
რაც შეგეძლოთ ჰქენით სრულათ:  
გადით ხალხში სამოქმედოთ,  
ნუ უყურებთ მუშებს მტრულათ.

## კოთხეტიკის:

იგერიეთ თავდასხმები,  
მოსეული შინ და გარეთ,  
და აგრეთვე ძველ დავთრებში,  
ანგარიში მოიხმარეთ.

## წვრილ კრედიტს:

კომერციულ წესზე დგებართ,  
თუ კი ასე გაატარებთ,  
წინა წელში ნაწყენ წევრებს,  
იმედს ჰგვრით და გაახარებთ.

ვაჭრებს

ნეტავ როდის აილაგმოს  
ეს უძლები თქვენი მადა?  
კიდევ რა გსურთ, ხომ წაიღეთ,  
ხალხს ჯბეზე რაც ებადა.

## ღრამატიულ საზოგადოებას:

სამოქმედო ასპარეზი,  
დაიჭირეთ ძლიერ ფართედ,  
წარმოდგენა სპექტაკლში,  
სანიმუშოდ თუ გამართედ.

## საქველმოქმედო საზოგადოებას:

დამშეულები ამბობენ,  
მოგველ-ნა „მესიაო“<sup>2)</sup>  
ჩაგვწერეს და არ გადაღვენ,  
ძლიერ ცული წესიაო.

## მცხოვრებლებს:

რა დროში ვართ ხომ უყურებთ,  
უფრო რომ არ გავვიქირდეს,  
ერთად-ერთი გზაა; ხალხი  
შეერთდეს და შეკავშირდეს.

## მკითხველებს:

გამიგრძელდა მილოცვები,  
ერთაც ვხედავ, მოგაწყინეთ,  
მარა რა ქნას ამ „ზღვა მუზამ“  
თქვენც თუ აღარ მოუთმინეთ.

ბუტუნა.



<sup>1)</sup> ფორტი — ქანჯარი.

<sup>2)</sup> ამით იმეოს არ იგლოდნენ, კიდევ უკეთესიაო.

## დეპუტები.

**ფოთი.** სასურსათო კომისამ საჭიროთ დაინახა ის ათასი ფუთი შაქარი, რომელიც ფოთში საკურობებისათვის არის ფირმიდან დაკვეთილი სავსებით ადგილობრივ კოოპერატივს გადაეცეს ვასაყიდათ და არა კერძო ვაჭრებს. ამავ კომისიამ დაადგინა აგრეთვე ფქვილი რომელიც მთელ ქალაქში საჭიროა და დაკვეთილია პარაოკვის ფირმიდან გადაეცეს, ადგილობრივ „წვრილ კრედიტის“ ამხანაგობას საიდანაც პირდაპირ შეიძენს მომხმარებლები და არა კერძო ვაჭრების ხელიდან. ეს ორი ფორტი ისეთი წყაროთა კოოპერატიულმა ამხანაგობებმა ვაჭრებს, რომ დანარჩენი წვრილი ფორტების აღება აწე გადადილებულია და მცხოვრებლებიც გათავისუფლდება. ვაჭართა ჯარი მამალაძის სარდლობით „წესიერთ“ უკან იხვეს და ემზადებიან უკანასკნელ შემოტრევისათვის დაკარგულ „ფორტებს“ დასაბრუნებლათ. ამობენ „სულ-შემსუთავ“ ნივთიერებასაც იხმარებენო. ამხანაგობების ჯარი სასწრაფოთ ამავგრებს ახალ აღებულ „ფორტებს“ და სრული იმედი აქვთ ვაჭართა შამოტევა სრული დამარცხებით დამთავრდება. ქალაქის თვითმართველობამაც დაარღვია ნეიტრალიტეტი და მოულოდნელათ გამოვიდა კოოპერატივების მომხრეთ ომის ველზე.

**იქიდანვე.** ერთ და იმავე დროს მთელ ქალაქში ყველა საყავეში მოახდინა რეკვიზიცია ადგილობრივმა მთავრობამ და მთელი ინვენტარი: ნარდი, ღომინო, კამათლეი და სხვა გადატანილი იქნება „საიმედო“ ადგილზე. ამ გარამებამ იმდენათ თავზარი დასცა ეგრეთ წოდებულ „კაფეინის ხალხს“, რომ მთელი ჯარი „ყავეჯების“ მეთაურობით გამოიშალენ ქუჩებში და დემონსტრაციებს ეპირებოდენ, რომ მცხოვრებთა სიხარულს და სიცილ-ხარხაშს არ შეეშალა ხელი ამ „რევოლიუციებისათვის“. მცხოვრებლებში დიდი სიხარულია ამ მოვლენით და აპირებენ შუადგომლობის აღძვრას სამუდამოთ მოისპოს ეს მივანე დაწესებულებები, სადაც დიდ-ძალი (?) იყრის თავს და ჰკარგავს გონებრივს, ქონებრივს და ზნეობრივ უფლებას უპირატესობას.

**იქიდანვე.** ბნმა გერზეეესკიმ უარი განაცხადა აფთიაქის საქონლების შეფასებით ჩაბარებაზე, რასაც თურმე დიდი „სტრატეგიული“ მნიშვნელობა აქვს

აფთიაქის „საბოლოოთ აღებისათვის“ ბნმა მხედვე სასტუკ უარზე დგას და მოითხოვს ქალაქის ქონება შეფასდესო.

**იქიდანვე.** ის დალაქი, რომელიც „ბოროტ-გამძრახველი“ ობოლმა გოგომ „კაიტაცა“, საპოლიციო ნაწილში აღმოჩნდა მეორე დღეს და ბოქალუს, რომ ზავი არ ჩამოეგდო ომი აუცილებელი იყო. დალაქმა ანექსია უყო გოგოს და პოლიტიკურ-ტერიტორიალურათ თავის მოულოდნელ გვირგვინის ქვეშ შამოიფარა, ობოლმა გოგომც დაჰკარგა მოწინააღმდეგის ძლიერებით დამოუკიდებლობა და ხელი მოაწერა ზავზე.

**სააგენტო აცხადებს,** რომ შანტაჟისტების შესახებ ცნობებს არ გაუშვებს რადგან ზოგი მკითხველი ჩვენს „საქარაოზე“ ლაპარაკს ვერ გმბულობს სისწორით.

ბუტუნას სააგენტო.










„ოღქის მზრუნველმა განაცხადა, რომ კავკასიაში უკვე არსებობს მოძრავე სკოლები, რომლებიც მომთაბრე ტომებს გადააქვთ ერთი ადგილიდან მეორეზე“.

გ.ბ. „ღუნი“

მოძრავე სკოლები კავკასიაში.



გეოგრაფიის გაკვეთილი არ არსებულ კავკასიის მოძრავე სკოლაში. მასწავლებელი არ კვებს საძოვარ მინდვრებისა და ხორცის გაფიჩრების საკითხს.